თქვენი სამსახურის მიერ გაცემული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების (ბრძანება #4235927 გაცემის თარიღი: 26.10.2018) მიხედვით დადგენილია საპროექტო ტერიტორიის (ს/კ 01,10,07,007,065) მოსაზღვრე საზოგადოებრივი სივრცეები (პუნქტი 1.3.)

გაცნობებთ, რომ აღნიშნულ ტერიტორიას სამხრეთ-დასავლეთის მხრიდან ესაზღვრება IV მკ/რ-ის შიდა კვარტალური გზა (წლებია არსებობ და ფუნქციონირებს) რომლითაც ხდება კომუნიკაცია IV მკ/რ-ში განლაგებულ საცხოვრებელ კორპუსებთან, როგორც დემეტრე თავდადებულის ქუჩის, ასევე არჩილ მეფის ქუჩების მხრიდან. აგრეთვე ეს შიდა კვარტალური გზა მნიშვნელოვანია ჩვეს მიერ განსახორციებელი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ფუნქციონირებისათვის, ამ გზით ხდება წვდომა საპროექტო საცხოვრებელი სახლის უკანა ეზოსთან, როგორც კერძო ტრანსპორტით ასევე სახანძრო-სამაშველო და სხვა ტრანსპორტით. (იხ. საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა. შეთანხმებული: ქ.თბილისის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურში და შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტში)

ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით გთხოვთ მოხდეს მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების კორექტირება, კერძოდ:

პუნქტი 1.3. **მიწის ნაკვეთზე შენობა-ნაგებობათა განთავსების პირობები და მაქსიმალური სიმაღლის განსაზღვრა:**

პუნქტში:

გაფრთხილება:

- საზოგადოებრივი საზღვრები: **გააჩნია ჩრდილოეთით, ჩრდილო-დასავლეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით დაურეგისტრირებელი სივრციდან.**

ჩამონათვალს დაემატოს: **სამხრეთ-დასავლეთის მხარე**



დადგენილი
საზოგადოებრივი სივრცე
01.10.07.007.098
01.10.07.007.373
01.10.07.003.982
დიმიტრი თავდადებულის ქუჩა
IV მ/რ მიდა კვარტალური გზა
01.10.07.007.065
01.10.07.007.001
01.10.07.007.024
01.10.07.007.100
მოთხოვნილი
საზოგადოებრივი საზღვარი
01.10.07.007.008
01.10.07.007.024
IV მ/რ მიდა კვარტალური გზა
არჩილ მეფის ქუჩა
478400
4627000



Traffic
Map
დადგენილი
საზოგადოებრივი სივრცე
დემეტრე თავდადებულის ქუჩა
საპროექტო ტერიტორია
01.10.07.007.65
მოთხოვნილი
საზოგადოებრივი საზღვარი
IV მ/რ შიდა კვარტალური გზა
'Didi Digomi
Microdistrict IV
არჩილ მეფის ქუჩა
© 2014 DigitalGlobe © Digits
12m
75ft
Terms &

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
ტრანსპორტის საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი: **პ/3528185**
თარიღი: **24/04/2019**
პინი: ####

ადრესატი: თეიმურაზ თოფურია
პირადი ნომერი: 01024037369
მისამართი: ქ.თბილისი, ცაგარელის N51ა, ბ.7

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

ბატონო თეიმურაზ,

თქვენი მ/წლის 24 აპრილის განცხადებით (მერიაში რეგისტრაციის №19/01191141064-16; 24.04.2019წ.) წარმოდგენილი საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა სამსახურის მიერ შეთანხმებულია.

ამასთან გაცნობებთ, რომ სამუშაოს დასრულების შემდეგ დემონტაჟი უნდა გაუკეთდეს დროებით დამონტაჟებულ საგზაო მოძრაობის ორგანიზების ტექნიკურ საშუალებებს და ქუჩის სავალი ნაწილი მოყვანილი იქნას პირვანდელ მდგომარეობაში.

დანართი: 9 ფურცელი
პატივისცემით,

მამუკა მუმლაძე

პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელი (საქალაქო სამსახურის უფროსი)

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო
საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი

MINISTRY OF INTERNAL AFFAIRS OF GEORGIA
PATROL POLICE DEPARTMENT

MIA 7 19 01068070

25/04/2019

მოქ. თ. თოფურიას
მის. ქ. თბილისი ალ. ყაზბეგის გამზ. N 34ა ბ. 55;
თქვენს 2019 წლის 25 აპრილის განცხადებაზე

ასლი: შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის
ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს
უფროსის მოადგილეს ბატონ ლაშა ჯოხაძეს

შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტში განხილულ იქნა თქვენი განცხადება, რომელშიც ითხოვთ, ქ. თბილისში დიდი დიღომი, მე-4 მ/რ ს/კ 01.10.07.007.065-ის მიმდებარედ შესასვლელ–გამოსასვლელი გზის, სამშენებლო დამცავი ღობის განთავსების და არსებული საგზაო/სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ნაკადების მიმართულების საგზაო მოძრაობის ორგანიზაციის წარმოდგენილი სქემების შეთანხმებას.

- ვითვალისწინებთ რა, ქ. თბილისის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის თანხმობას, შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი ითანხმებს (საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების კუთხით) წარმოდგენილ დროებითი და მუდმივი მოძრაობის ორგანიზაციის სქემებს და არ არის წინააღმდეგი მოაწყოთ სამშენებლო დამცავი ღობე შემდეგი პირობების დაცვით:
- სამშენებლო დამცავი ღობე შეიღებოს შავ-თეთრი ან წითელ-თეთრი ზოლებით;
- ქვეითად მოსიარულეთა უსაფრთხოების მიზნით დამცავი ღობის ფარგლებში მოეწყოს ქუჩის სავალი ნაწილის მხრიდან ქვეითად მოსიარულეთა ბილიკი, ღობე გზის სავალი ნაწილის მხრიდან გადაიხუროს და ღამის საათებში განათდეს;
- სამშენებლო ობიექტზე მისასვლელი გზა აღიჭურვოს მოძრაობის რეგულირების ტექნიკური საშუალებებით წარმოდგენილი სქემის შესაბამისად;
- დაცული იქნას გზის სავალი ნაწილის სისაუფთავე, არ დაუშვათ სამშენებლო მასალისა და ტექნიკის გზის სავალ ნაწილზე განთავსება;
- სამუშაოების დასრულებისთანავე მიმდებარე ტერიტორია მოყვანილ იქნას პირვანდელ მდგომარეობაში და დროებითი მოძრაობის რეგულირების ტექნიკურ საშუალებებს გაუკეთდეს დემონტაჟი;

0190, თბილისი, ნოე რამიშვილის ქ. №38
№38 Noe Ramishvili St. 0190 Thilisi Georgia
ტელ./Tel.: (+995 032) 2 41 42 42
ფაქსი/Fax: (+995 032) 2 41 85 02

- სამუშაოების დაწყების და დამთავრების შესახებ წინასწარ ეცნობოს შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის სამორიგეო ნაწილს (ტელ: 241-85-04; 241-85-05);

მეორე ადრესატს: გთხოვთ, უზრუნველყოთ კონტროლის დაწესება წერილში მითითებულ პირობების შესრულებაზე და მოძრაობის რეგულირების ტექნიკური საშუალებების განთავსების მდგომარეობაზე. შეუსრულებლობის შემთხვევაში გაატარეთ ზომები საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 134 მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად.

დანართი: 7 ფურცლად.

საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი /
საორგანიზაციო სამმართველო / საგზაო მოძრაობის
ზედამხედველობის განყოფილება
განყოფილების უფროსი
ბარბაქაძე დავით

"შეთანხმებულია"
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის
მერიის ტრანსპორტის საქალაქო
სამსახურის უფროსი
_____ 2019

"შეთანხმებულია"
ქ. თბილისის საპატრულო
პოლიციის მთავარი სამმართველოს
უფროსის მოადგილე
_____ 2019



შშმ პირებისთის ადაპტირებული (პანდუსი)

პირობითი აღნიშვნები

- შენობა ნაგებობა
- ბორდიური
- არს. ბეტონის კედელი
- სამშენებლო ღობე
- სატრანსპორტო ნაკადის მოძრაობის მიმართულება

რეკომენდირებული მოსაწყობი საგზაო ნიშნები პირობითი ნიშნები

- საგზაო ნიშანი 2.1
- საგზაო ნიშანი 2.3
- საგზაო ნიშანი 3.1
- საგზაო ნიშანი 4.1.4
- საგზაო ნიშანი 4.1.5
- საგზაო ნიშანი 4.1.6

GNG

ქ.თბილისი, დიდი დიღომის IV მიკრ. რაიონი ნაკვ. 07/065 (ს/კ 01.10.07.007.065) საგზაო მოძრაობის ორგანიზების საბოლოო სქემა

მასშტაბი 1:1000

გვ.1

"შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ უ ლ ი ა"

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსი

_____ 2019

"შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ უ ლ ი ა"

ქ. თბილისის საპატრულო პოლიციის მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე

_____2019



პირობითი აღნიშვნები

- შენობა ნაგებობა
- ბორდიური
- არს. ბეტონის კედელი
- სამშენებლო ღობე
- სატრანსპორტო ნაკადის მოძრაობის მიმართულება

დროებითი საგზაო ნიშნები პირობითი ნიშნები

- საგზაო ნიშანი 1.26 - 5ც.
- საგზაო ნიშანი 3.10 - 2ც.
- საგზაო ნიშანი 3.24 - 2ც.
- საგზაო ნიშანი 3.24 - 3ც.
- საგზაო ნიშანი 3.25 - 2ც.
- საგზაო ნიშანი 5.19.1 - 2ც.
- საგზაო ნიშანი 5.19.2 - 2ც.
- ბოძკინტი (დრეკადი რეზინა) - 4ც.
- სასიგნალო ლენტი
- ქვითელი ციმციმა - 2ც.
- მედროშე 1 აღამიანი
- სატრანსპორტო ნაკადის მოძრაობის მიმართულება
- საქვეითე ნაკადის მოძრაობის მიმართულება
- ჰორიზონტალური მონიშვნა 1.14.1

შენიშვნა:

1. საპროექტო ტერიტორიაზე მშენებლობის დროს, მიმდებარედ საავტომობილო და საქვეითე მოძრაობა შენარჩუნებული იქნება უცვლელად.

2. ავტომობილთა და ქვეითთა უსაფრთხო გადაადგილების უზრუნველყოფის მიზნით ტერიტორიის მისასვლელთან მორიგეობს რაციით აღჭურვილი 4 მედროშე პერსონა.

GNG

ქ.თბილისი, დიდი დიღომის IV მიკრ. რაიონი ნაკვ. 07/065 (ს/კ 01.10.07.007.065) საგზაო მოძრაობის ორგანიზების დროებითი სქემა

მასშტაბი 1:1000

გვ.2

"შეთანხმებულია"
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსი
_____ 2019

"შეთანხმებულია"
ქ. თბილისის საპატრულო პოლიციის მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე
_____ 2019



პირობითი აღნიშვნები

- შენობა ნაგებობა
- ბორდიური
- არს. ბეტონის კედელი
- სამშენებლო ღობე
- სატრანსპორტო ნაკადის მოძრაობის მიმართულება

დროებითი საგზაო ნიშნები პირობითი ნიშნები

- საგზაო ნიშანი 1.26 - 5ც.
- საგზაო ნიშანი 3.10 - 2ც.
- 20 - საგზაო ნიშანი 3.24 - 2ც.
- 40 - საგზაო ნიშანი 3.24 - 3ც.
- 20 - საგზაო ნიშანი 3.25 - 2ც.

- ბოძკინტი (დრეკადი რეზინა) - 4ც.
- სასიგნალო ლენტი
- ყვითელი ციმციმა - 2ც.
- მედროშე 2 ადამიანი
- სატრანსპორტო ნაკადის მოძრაობის მიმართულება
- საძვეითე ნაკადის მოძრაობის მიმართულება
- ჰორიზონტალური მონიშვნა 1.14.1

შენიშვნა:

1. საპროექტო ტერიტორიაზე მშენებლობის დროს, მიმდებარედ საავტომობილო და საძვეითე მოძრაობა შენარჩუნებული იქნება უცვლელად.

2. ავტომობილთა და ქვეითთა უსაფრთხო გადაადგილების უზრუნველყოფის მიზნით ტერიტორიის მისასვლელთან მორიგეობს რაციით აღჭურვილი 2 მედროშე პერსონა.

GNG

ქ.თბილისი, დიდი დიღომის IV მიკრ. რაიონი ნაკვ. 07/065 (ს/კ 01.10.07.007.065) საგზაო მოძრაობის ორგანიზების დროებითი სქემა, სამშენებლო ღობის მონტაჟი და დემონტაჟი	მასშტაბი 1:1000	გვ.3

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

26549547534718

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N181471453

რეგისტრაციის თარიღი

04.12.2018 წ

ნოტარიუსი: თამარ ბაქრაძე

მისამართი: ქ.თბილისი დ/დიღომი ი.პეტრიწის ქ. N 16

ტელეფონი: 591 701 115; 322 43 28 70;

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო აქტი

საქართველო

ორი ათას თვრამეტი წლის ოთხ დეკემბერს მე, ნოტარიუს თამარ ბაქრაძეს, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, დიდი დიღომი ი.პეტრიწის ქუჩა № 16 მომმართა **შოთა ქუთათელაძემ** მან განაცხადა, რომ არის **შპს "ელენ ჰაუსი"-ს (ს/კ № 438731197) დირექტორი** და სურს **ვახტანგ ჭელიძის** მიმართ მინდობილობის შედგენა და ამ მინდობილობის სანოტარო წესით დამოწმება. მე შევამოწმე მისი პირადობა სამოქალაქო რეესტრის ელექტრონულ მონაცემთა ბაზის მეშვეობით და დავადგინე, რომ მე ნამდვილად **შოთა ქუთათელაძემ (დაბ.12.04.1972წელს, სამტრედია, პირადი № 37001008060, რეგ. მისამართზე: სამტრედია კ.მწელაძის ქ. N 172)** მომმართა. მე ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. მე დავრწმუნდი მისი ნების გამოვლენის ნამდვილობაში, შემდეგ შევადგინე მინდობილობის პროექტი, რომელიც წავუკითხე და განვუმარტე მას. მან წაიკითხა ეს მინდობილობა და მკაფიოდ განაცხადა, რომ იგი ზუსტად გამოხატავს მის ნებას. შემდეგ მან ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი შემდეგ მინდობილობას.

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

მე, **შოთა ქუთათელაძე**, როგორც **შპს "ელენ ჰაუსი"-ს (ს/კ № 438731197)** დირექტორი, შემდგომში ამ მინდობილობაში წოდებული როგორც "მიმნდობი პირი", ამ მინდობილობით უფლებამოსილებას ვანიჭებ **ვახტანგ ჭელიძეს (დაბ. 26/04/1959 წ. თბილისი, პირადი # 01009001743)** შემდგომში – "მინდობილ პირს":

მინდობილი პირი უფლებამოსილია წარმოადგინოს შპს „ელენ ჰაუსის" დირექტორის ინტერესები ნებისმიერ ორგანიზაციასა და დაწესებულებაში, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან, სახელმწიფო და არასახელმწიფო სტრუქტურებში, ადმინისტრაციულ ორგანოებში, მათ შორის: ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში, მერიის სამსახურებში, სსიპ არქიტექტურის სამსახურში, ეკონომიკის სამინისტროში, სსიპ ქონების მართვის ეროვნულ სააგენტოში, წარმოადგინოს და მიიღოს ნებისმიერი სახის ცნობა/დოკუმენტი/ინფორმაცია, მოაწეროს ხელი მის მაგივრად და შეასრულოს ყველა ის მოქმედება, რაც დაკავშირებული იქნება აღნიშნული დავალების შესრულებასთან.

მინდობილობა შედგენილია ქართულ ენაზე სამ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება ნოტარიუს თამარ ბაქრაძის სანოტარო არქივში, ხოლო დანარჩენი გადაეცა მიმნდობ პირს.

მინდობილობა გაცემულია ერთი წლის ვადით, შემდგომი გადანდობის უფლების გარეშე.

მინდობილობა შეიძლება ვადამდე შეწყდეს ერთ-ერთი მხარის ინიციატივით მეორე მხარისათვის წინასწარი შეტყობინებით, რისთვისაც საჭიროა ამ გარიგების სანოტარო წესით გაუქმება.

ამ მინდობილობის იმ ეგზემპლარს, რომელიც ინახება სანოტარო არქივში თან ერთვის: **შპს "ელენ ჰაუსი"-ს (ს/კ № 438731197)** ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან.

გადახდილია სანოტარო მომსახურების საზღაური თანახმად საქართველოს მთავრობის 29.12.2011 წლის დადგენილების # 507 "სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" 31-ე მუხლისა - 10 (ათი) ლარი: დღგ 1.80 (ერთი ლარი და ოთხმოცი თეთრი) ლარი, თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლისა, ასევე ელექტრონულ სანოტარო რეესტრში სანოტარო მოქმედების საფასური 2.00 (ორი) ლარი, თანახმად ზემოთ მითითებული დადგენილების 39-ე მუხლისა.

შოთა ქუთათელაძე _____

ნოტარიუსი: /თამარ ბაქრაძე/

